რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363

## ტელეფონი რედაქციისა № 363.



### პანცერი და გლუხოვსკი

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სარაჯევის სახლი (ეზოში).
ახლად გაღებულ ქარხნის საწყობი
**საკერავი მაშინებისა**
ნამდვილის **ზინგერ-ნაუმანის** და სხვა გამოჩენილ სისტემის მაშინები: ოჯახებისათვის და ხელოსნებისათვის. ფასები ქარხნისაა. (15—ფ.—11)

Магазинъ
### О. ЗИБЕРТА
*Дворцовая.*

Гравюры, фотографіи и платинотипы съ произведеній **ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ** фирмы Буссо, Валадонъ и Ко въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

**ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ**
серебрянныя вещи фабрики Мюллеръ въ Ригѣ.

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* **НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕЙ** и т. под., *Мельхіоровыхъ вещей*, издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и т. д.

**Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.**

(40—2)

### პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

### სამკურნალო და ამბულატორია
## ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს.ბ. თოფურია.**
(წ.)

ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 22 დეკემბერს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება

## იაკობელები
ანუ
### სამეფო ტახტისათვის

დრ. 5 მოქმედ. თარგ, პ. ყიფიანისა და ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, კუნდელი, ბბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
**დასაწყისი 8 საათზე**
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

Вышла изъ печати и продается новая книга:

### ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ
Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаурия“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.— Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.— Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.— Спасенная святыня.

**ЦѢНА 1 РУБЛЬ.**

Съ требованіями обращаться: **въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.**

**Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.**

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „**Къ 100-лѣтію Крцанисской битвы**“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

**ЦѢНА 30 КОП.**

იაფად, სამუდამოდ და პირიანად ვსდგამ სახლებში

### ელექტრონის ზარებს

მსურველთ საახალწლოდ იაფად გავუმართავ გაფუჭებულს და დამდგარს ზარებს.

შეიძლება მომმართონ გ. ჩარკვიანის სტამბაში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.
მ. იანქოშვილი
(10—4)

## დეპეშა
გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).
19 დეკემბერი.

**სტამბოლი.** არსენალის წინ შეიკრიბა ფლოტის 2000 მოსამსახური, რომელთაც აგერ რამდენიმე კვირაა არც ჯამაგირს აძლევენ და არც შინა ჰგზავნიან და უწესობა მოახდინეს. მთავრობამ, როგორც იყო, დააშვიდდა აჯანყებულნი და დაჰპირდა, ძლიერ მალე ავასრულებთ თქვენ თხოვნასაო.

**ლონდონი.** გაზეთი «Times»-ი სწერს: სულთანი მხოლოდ მაშინ მოახდენს რეფორმებს ოსმალეთში, როდესაც ყველა სახელმწიფონი მუქარას შეუთვლიან და რაც უფრო ადრე მოხდება ესა, მით უკეთესი იქმნება.

**სოფია.** სტამბულოვის საქმის განხილვა გათავდა. ბ-ნი გეორგიევი გაამართლეს; ტიუფიქჩევი და ატტოვი დამნაშავედ იცნეს და მიუსაჯეს ორთავეს სამის წლით ციხეში დაპატიმრება.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისის გაზეთის საქმე. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქუთაისის ინტელიგენციამ განიზრახა ქუთაისში ახალ გაზეთის გამოცემა და მიჰმართა ამ თხოვნით ბ-ნს გუბერნატორს. გუბერნატორმა ეს თხოვნა უკან დაუბრუნა, რადგანაც ამ გვარის თხოვნით უნდა მიჰმართონ პეტერბურგში ბეჭდვითი საქმის უმთავრესს მმართველობასაო.

*** კიდევ თ. წულუკიძის ქალის მოტაცებაზე. ტფილისის სასამარ-

თლო პალატის პროკურორის თანაშემწე ს. ა. ბოგოროდსკი გაგზავნილ იქმნა ქუთაისში, რათა ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს მოტაცებულ ქალის მოსანახავად.

ამბობენ, რომ ქუთაისში დაუპატიმრებიათ წულუკიძის ქალის მომტაცებელის ბიძა თავ. კ. ამ ამბავმა დიდათ აღელვა მთელი ქუთაისი.

მოტაცებულ ქალისა და მომტაცებელის პოვნა დაავალეს ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ-ნს სვიმონოვს. ყველას იმედი აქვს, რომ ბ-ნი სვიმონოვი იპოვნის მოტაცებულ ქალს.

*** **ქუთათურების სალაპარაკო.** ამ ჟამად ერთი ქორწილია, რომელიც მალე უნდა მოხდეს. დიდი ხანი არ არის, რაც აქ მოვიდა ერთი ბერძნის ქალი, ქვრივი, რომელიც ძლიერ მდიდარია თურმე. სიმდიდრითა თუ სილამაზით, არ ვიცით, ქვრივმა მოხიბლა ერთი ქუთათური თავადიშვილი, რომელმაც დანიშნა ეს ქვრივი და მალე ჯვარსაც დაიწერს.

*** **სიმინდისა და შავი ქვის საქმე.** არ იქნა და არა, სიმინდის ფასმა არ აიწია. ამბობენ, მიზეზი ის არის, რუსეთში მოუსავლობის დროს რომ სიმინდის გატანა აღკრძალეს საზღვარ-გარეთ, მაშინ ჩვენის სიმინდის ბაზარი დაიჭირა ამერიკის სიმინდმა და მას შემდეგ ჩვენს სიმინდს ბაზარი არა აქვსო.

ჩვენებურს შავ-ქვასაც დიდი კონკურენტი გამოუჩნდა. ეხლა ინგლისში და ევროპაში ინდოეთიდგან მოაქვთ შავი ქვა. ამის მიზეზი ის არის, რომ, თურმე, ინდოეთიდგან ლონდონამდე შავის ქვის მიტანა უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ჩვენის ქვეყნიდგან ლონდონში, რადგანაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტარიფი შავი ქვის წასაღებად ძლიერ ძვირია.

*** **კავკასიის რკინის გზა.** მთავრობას განზრახვა აქვს, გაკეთდება თუ არა ყარსის რკინის გზა, შეუდგნენ გამოკვლევას, თუ რა გზით შეიძლება რკინის გზით შეაერთონ ამიერ-კავკასია რუსეთთან და კავკასიის მთაზედ რკინის გზა გაიყვანონ.

*** **ნავთის მილი.** მომავალ წელს ნავთის მილს გააკეთებენ ხაშურიდან ბათომამდე.

*** **დედა-ენა.** ამ ბოლოს დროს დანიელებმა, პოლონელებმა და ელზასელებმა პირობა შეჰკრეს, რომ ერთად ეცადონ, რათა სასამართლოებში შემოღებულ იქმნას დანიაში დანიის ენა, პოლონიაში კიდევ —პოლონური და ელზასში— ფრანგული. ამიტომ მათ შეიტანეს რეიხსტაგში თხოვნა, რომ სასამართლოებში დანიშნულ იქმნენ ხოლმე თარჯიმანები იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მომჩივარმა და მოპასუხემ გერმანული ენა იციანო. გერმანიის გაზეთები ძლიერ წინააღმდეგნი არიან ამისი და პირიქით თხოულობენ, რომ გერმანულს ენას, როგორც სახელმწიფოსას, უფრო მომეტებული უფლება მიეცეს მთელს სახელმწიფოშიო.

*** **საქონლის დაზღვევა.** მთავრობას განზრახვა აქვს დაადგინოს, რომ საქონელი უსათუოდ დააზღვიოს პატრონმა ყოველ-გვარ ჭირისაგან.

*** **გამოფენა.** 1898 წელს მოხდება რუსეთში მეორე გამოფენა ბეჭდვითი საქმისა.

*** **შავი სახადი** თან-და-თან ვრცელდება ტფილისში. 17 დეკემბერს, სურფ-მინასის ქუჩაზედ, სახლში № 21, შავი სახადით ავად გახდა ტფილისის მოქალაქე გრიგოლ აპრიმოვი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. აპრიმოვი გარდაიცვალა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ აპრიმოვს შავი სახადი გადაედო თავის ნათესავ დანდუროვისაგან, რომელიც შავი სახადით ავად გახდა და გარდაცვლილა მუხრანიანთ ქუჩაზედ, საკუთარს სახლში.

*** **გურიის ნავთის გამო.** ჩვენ გვწერენ, რომ სუფსაში ნავთის წარმოების საქმე მალე დამთავრდებაო. აქედან საზღვარ გარედ გაგზავნილი ნავთის კუპრი (მაზუტი) ძლიერ მოსწონებიათ და მოუწერიათ იქიდან, რომ ნავთი უთუოდ ამოხეთქს, როცა ოცდა-ერთ საჟენის სიღრმეზე ჩახვალთო. რა თქმა უნდა, რომ ეს გარემოება მეტად სასარგებლო იქნება მთელ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ერთი-ორი ადგილის გარდა, სადაც უტყუარი ნიშანია ნავთის არსებობისა, სულ ერთიანად გაცემულია თურმე იჯარადრებზე თითქმის მუქთად; მოიჯარადრენი, სულ უცხონი არიან. გლეხების წვრილ-წვრილი ადგილებიც კი იჯარით გაუციათ სოფლის განაჩენების ძალით. აქაურები ბევრს ლაპარაკობდნენ ნავთის წარმოებაზე და უნდოდათ, რომ ამხანაგობა შეედგინათ, მაგრამ ვერ იქნა და ლაპარაკი საქმედ ვერ იქცა. ამასობაში სხვები დაეპატრონენ ჩვენს კუთვნილ სიმდიდრეს. ასეა თუ ისე, ამ ჟამად აქაურ მკვიდრთ ნავთის წარმოებისაგან მარტო სახელი დარჩებათ და სახრავი კი იმათ, ვისაც ჩვენსავით არ სძინავთ და მეცადინეობენ.

*** **ავაზაკების თავს-დასხმა სუფსაში.** გურიაში მცხოვრებნი დროებით მოვაჭრენი თავისუფლად სცხოვრებდნენ და არავითარი შიში არა ჰქონდათ; აგერ ორი-სამი წელიწადი იქნება, რაც ყაჩაღობას ჩვენში ყოველ მხრივ ფრთები შეაკვეცეს, მაგრამ გურიაში ჯერ კიდევ არსებობს ეგ ბოროტება. სადგურ სუფსის მახლობლად აზ. ბედია კომახიძის სახლში დროებით სცხოვრობდა ნავთის ახალ ქარხნის მწარმოებელი ინჟენერი იუნგი. ამ სახლშივე გამართული ჰქონდა კანტორა და ცოლშვილით იქვე სცხოვრობდა. 17 ამ თვეს, ღამის 10 საათზე, სახლს დაეცნენ ავაზაკები, რიცხვით ათ კაცამდე. იუნგს კანტორაში ჰყავდა ორი ყარაული: ერთი ლ. ურუშაძე და მეორე ი. გობრონიძე და ამ ყარაულების სიბეჯითით და სიმხნევით ერთი ყაჩაღი თოფით მოკლულ იქმნა და სამი ძლიერ დაიჭრა თოფითვე; მაგრამ დაჭრილები ყაჩაღებს თან წაეყვანათ. გზა სადგურამდე სულ სისხლით იყო შეღებილი; სჩანს, რომ სამუშაო მატარებლით წასულან აქედან. მეორე დილას მოვიდა ადგილობრივი მაზრის უფროსი და ბოქაული გამოძიების მოსახდენად. მოკლული ქობულეთელი თათარი აღმოჩნდა, გვარად გორდელაძე, სხვები კი, ამბობენ, გურულები იყვნენო. მოკლულს სულის დალევამდე უთქვამს: ამხანაგებმა მიღალატეს და დამტოვეს ასე უპატრონოთო.

*** **იქიდანვე გვწერენ:** ზამთარი დაგვეწყო და გზებიც ყოვლად გაუვალი შეიქნენო. მისვლა-მოსვლა მეტად გაძნელდა ტალახებისა გამო. თუ დროზე რამე ღონე არ იღონეს, მერე ურმითაც-კი შეუძლებელ იქნება სიარულიო.

*** **სოხუმი.** ამ ახლო ხანებში აქ მოვიდა „კავკასიაში ქრისტიანეობის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ დანიშნული მისიონერი, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ახლად კურს დამთავრებული ბ-ნი ევტიხი მამინაიშვილი. ბატონმა მისიონერმა მოიარა აფხაზეთი და ქრისტიანობის გავრცელების საქმე ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჰპოვა. ახლად მონათლული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზე გადასულან. სოფლებში მოლები გამრავლებულან და მედრესები გაუხსნიათ აფხაზების ბავშვებისათვის. კვირა-უქმეობით ეკკლესიებში მარტო მღვდელ-დიაკონს თუ ნახავს კაცი. ეს სამწუხარო მოვლენა შენიშნულია უფრო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში), რომელიც მამა ამბროსი კავკასიძის შემდეგ უმისიონეროდ იყო დარჩენილი. ბ-ნმა მამინაშვილმა ქრისტიანების ამ უნუგეშო მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აღგვითქვა, სათანადო ღონეს ვიღონებ ქრისტიანობის აყვავებისათვის აფხაზეთშიო. სრული იმედი გვაქვს, ბ-ნ მამინაშვილის მოღვაწეობა აქეთკენ შესაფერს ნაყოფს გამოიღებს, რადგან, ჯერ ერთი, ახალგაზდა კაცია, ჯანითა სავსე და ყოვლის კეთილის მისწრაფებით გამსჭვალული და მეორეც, როგორც ჩვენებური კაცი, უფრო მიხვდება ადგილობრივს საჭიროებას და მისთვის შესაფერ წამლის გამოძებნას.

*** **ევროპიულ კრამიტების მომზადება გურიაში.** მეტად სასიამოვნო ამბავს გვატყობინებს ჩვენი კორესპონდენტი გურიიდან. ნატანების სადგურთან ამ ჟამად რამდენიმე იტალიელი შესდგომია ფრიად საყურადღებო წარმოებას. საქმე ის არის, რომ ნატანებში და ნატანების ახლო-მახლო ადგილებშიაც აღმოჩენილა ისეთი მიწა, რომლიდამაც თურმე საუკეთესო ევროპიული კრამიტები მომზადდებაო. იტალიელებს უკვე საჭირო მანქანებიც დაუბარებიათ და საცაა საქმესაც დაიწყებენო. იტალიელები ამბობენ, რომ დამდეგის წლის გაზაფხულზე უკვე კრამიტების ყიდვასაც შევუდგებითო და ნატანების კრამიტები არაფერში ჩამოუვარდება ყველგან განთქმულს, ეგრედ წოდებულს „მარსელის კრამიტებსო“ და ბევრად იაფიც იქნება იმათზეო.

ეგ ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ აქაც ჩვეულებრივ თავი იჩინა ქართველურმა წინ-დაუხედველობამ. ამ ორის წლის წინად, როცა გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის წესდება იწერებოდა, სხვათა შორის იმაზედაც იყო ბაასი, რომ საზღვარ-გარედ გაეგზავნათ ერთი ან ორი კაცი კრამიტების კეთების ხელობის შესასწავლებლად, მაგრამ ლაპარაკი ჩვეულებრივ ლიტონ სიტყვად დარჩა და ამასობაში ისევ უცხოელებმა დაგვასწრეს და ხელთ იგდეს ესეთი მოსაგებიანი და იმავ დროს ადვილი წარმოება, როგორიც არის კრამიტების კეთება.

კრამიტების წარმოებას ჩვენში სხვათა შორის ის სიკეთეც მოსდევს, რომ მთელს გურია-სამეგრელოში სახლებს ყავარით ხურავენ და მით ჩვენს მდიდარ ხე-ტყეს ასუსტებენ, ამას ზედ ისიც დაერთო, რომ რკინის გზას დიდ-ძალი „შპალები“ უნდება და ჩვენი ხე-ტყე დღითი-დღე ულმერთოდ იჩეხება და სუსტდება. ხოლო ვინ არ იცის, რომ ხე-ტყის შესუსტებისაგან რაოდენი ზარალი ეძლევა მცხოვრებთ მეურნეობაში და საზოგადოდ მთელს ყოფა-ცხოვრებაში. სხვაგან ტყეს უვლიან და აშენებენ, ჩვენ-კი.... «ცოდვა გამჟღავნებული სჯობსო» ნათქვამია, არა თუ არას ვაშენებთ და ვაკეთებთ, პირ-იქით იმასაც ვფლანგავთ და ვკარგავთ, რაც გვაბადია და კიდევ შეგვრჩენია.

*** **სოფ. ხაშმი.** აქ გაჩნდა სახადი, რომელმაც ამ ერთის კვირის განმავლობაში ორი სული იმსხვერპლა და ახლაც ერთი ავად არის. ამ გარემოებას სოფლის მამასახლისი არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მისი ყურადღება იმაზეა მიქცეული

...ომ სოფლის გადასახადი მალე აკ-
...იფოს და სოფლის მოთხოვნილე-
...ს, მის ჭირ-ვარამს ყურადღებას არ
...ქცევს. სოფელს (300 კომლია) გა-
... გაუჭირდება ერთი ფერშლის შე-
...ახვა?—სულაც არა. საჭიროა მხო-
...ოდ მეთაური, საქმის დამწყები; ეს
...ამასახლისის მოვალეობაა და ის კი
...მაზედ ყურსაც არ იბერტყავს. იმ
...ალოცვილმა სხვა სოფლების მამა-
...ახლისებს მაინც დახედოს და ისე
...ოიქცეს, თუ თვითონ თავისით ვე-
...ას ახერხებს.

*** შეწირულობა. ჩვენ მივიღეთ
...მდეგი წერილი ს. ალის სკოლის
...ასწავლებლის ციცაგაშვილისაგან:
„ნება მიბოძეთ თქვენის პატივცე-
...ულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“
...აშუალებით უგულითადესი მადლო-
...ა გამოვუცხადო გენერალ-ლეიტე-
...ანტს თავ. მ. პ—ძე ამირეჯიბს,
...რომელმაც არ დაიშურა და უფასოდ
...აუთმო ჩემდამი რწმუნებულ ალის
...სკოლას ახლად ასაშენებელ შენობი-
...სათვის საჭირო ხის მასალა და აღუ-
...თქვა ყოველ წლივ შემოსწიროს ამა-
...ვე სკოლას 10 მ.
იმედია, რომ ჩვენი თავადიშვილე-
...ბიც მიჰბაძვენ თ-დს ამირეჯიბს და
...შეძლებისა და გვარად აღმოუჩენენ
...ჩვენს ღარიბ სკოლებს ნივთიერ დახ-
...მარებას და მით ბოლოს მოუღებენ
...ხალხის უთავ-ბოლო ძახილს: „არ
...გვინდა სკოლა! გავტყავდითო“ და
...სხვა.

დ. ახალ-სენაკი. როგორც «ცნობის ფურცლის» მკითხველებს მოეხსენებათ ამ თვის 11—12 ახალ-სენაკში მოწვეულ იყო სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა კრება, რომელსაც უნდა დაედგინა, თუ სად უნდა ყოფილიყო დაარსებული სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. კრება დაიწყო 11 და გათავდა 14-სა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბლაღოჩინი მღ. მ. ევგენი შენგელაია. კრებას დაესწრო მისი მეუფება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი. მისმა მეუფებამ ჯერ კრება აკურთხა და შემდეგ გრძნობით აღსავსე სიტყვებით დარიგება მისცა დეპუტატებს, რათა მათ თავიანთის სურვილით აღერჩიათ სასწავლებლისათვის სამუდამო ადგილი. სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ, ბევრის სხვა-და-სხვა გასარჩევ საქმეთა შორის, ერთის ხმითა და სიტყვით სამუდამო სასწავლებლის ბინად აღირჩია ახალ-სენაკი და ამაზე დადგენილება გაგზავნა დასამტკიცებლად მთავრობასთან. ახალ-სენაკი სამეგრელოს შუაგული ადგილია, რომელსაც რკინის გზაც უვლის და მიმოსვლისათვის ძალიან ადვილია ურთიერთ შორის.

*** სად. ქეგამი ამ თვის 17 აქ გაძარცვეს ერთი მეტად მოხუცებული, ოთხმოცის წლისა, სარქის ფირგულოვი, „ბიძიათ“ წოდებული მთელ სადგურზე. ეგ „ბიძია» თავის სარჩოს კვერცხების თუ სხვა რამ სანოვაგის გაყიდვით შოულობდა და არა შეძლების და გვარად დარდიმანდობდა, თურმე. იშოვნიდა თუ არა ათს თუმანს, მაშინვე ქეიფს და დროს გატარებას მიჰყვებოდა, სანამ ფული არ გაუნახევრდებოდა; ნახევარს კი უფრთხილდებოდა, რა არის სამარხათ დამჭირდება ხუთი თუმანიო. ამ დღეებში თურმე, ისევ შეუვსია ათი თუმანი და მიჰყოლია ჩვეულებრივ ქეიფს. 22 მანათი დაუხარჯავს და 78 მ. კი ქეიფის დროს ამოუცლიათ ჯიბიდგან, ისე რომ ეხლა არც დასამარხი ფული დარჩენია; გუმანი მიუტანიათ ვანო კატაშვილზე და ოქმიც შეუდგენია აქაურ ბოქაულს და საქმეც სასამართლოში გადაუციათ. ცოდო კია დასამარხი ფულის ამოცლა, მაგრამ არც ის არის კარგი, რომ ოთხმოცი წლის კაცი თავზედ ხელ-აღებულად ქეიფობდეს დასამარხ ფულით. ამაზეა ნათქვამი: „მუცელს აქორებ ქორია, ღორებ-ღორია“.

*** ვექილი და გასათხოვარი ქალი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვექილი სასამართლოში საქმეს მოიგებს, მაგრამ რაც მოგაგებინათ, იმდენ ფულს მოგთხოვთ.

ამას წინედ ერთმა ვექილმა დაუმტკიცა ერთს გასათხოვარ ქალს დედ-მამისაგან დარჩენილი სამკვიდრო, მაგრამ თითონ ისეთი ანგარიში გამოუგზავნა საქმის წარმოებისა, რომ მთელი სამკვიდრო იმას უნდა წაეღო. ქალი იმ წამსვე ვექილს მიეჭრა.

— როდის არის ქორწილი?

— რა ქორწილი?

— ჩვენი.

— უკაცრავად, ქალბატონო, რა ქორწილი? მე თქვენთან ქორწილზედ კრინტიც არ დამიძრავს.

— ეგ სულ ერთია. რაკი ჩემი მზითევი თქვენ მიგაქვთ, მგონია, სამართლიანობა მოითხოვს, რომ მეც წამიყვანოთ...

— ქალბატონო...

— მაშ როგორ გინდათ, მზითევი წაიღოთ და მე ცალიერი დავრჩე?

ქალი წავიდა და ვექილს მისი ანგარიში დაუტოვა.

მეორე დღეს ვექილმა მეორე ანგარიში გაუგზავნა ქალს და წინანდელზედ ერთი ასად ნაკლები სთხოვა გასამრჯელო.

*** სუფრა გერმანეთის იმპერატორის ვილჰელმ II-ისა. გაზეთ „Figaro“-ს სიტყვით, იმპერატორის სასახლეში დღეში სამჯერ შლიან სუფრას: ერთს დილის 5 საათზედ, რომლისაც იმპერატორი და დედოფალი ერთად საუზმობენ ხოლმე, მიირთმევენ ჩაის ან ყავას, მოხარშულს კვერცხებს, შემწვარს სუკებს, ხბოს ან ბატკნის გუფთებს; საუზმის შემდეგ იმპერატორი ცხენზე ჯდება და სეირნობს, ან ჯარებს ათვალიერებს 7 საათამდე. დედოფალი, მიუხედავად იმისა, რომ დილის 5 საათზე საუზმე მეტად ადრეა, მაინც ყოველთვის დგება თურმე საუზმისათვის. მეორე სუფრა იშლება ნაშუადღევის 2 საათზედ და მაშინ მიირთმევენ წვნიანებს, თევზეულობას, ხორცეულობას, მწვანილეულობას და სხვა-და-სხვა ტკბილეულობას. ამ სუფრაზე ყოველთვის არის მოწვეული ხოლმე შვიდი-რვა კაცი სასახლიდან; ამ სუფრასაც საუზმე ეწოდება. მესამე სუფრას-კი სადილად გაშლიან ხოლმე საღამოს 7 საათზედ. იმპერატორს ვილჰელმს თურმე მომეტებულად უყვარს საჭმლები ხორცეულობიდან და თევზეულობაც, ტკბილეულობას კი ხელსაც არ ახლებს, ღვინოს ძრიელ ცოტას მიირთმევს, თურმე.

## რკინის გზის ამბები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა პედენკომ განკარგულება მოახდინა, რომ მომავალ დღესასწაულების, შობა-ახალ-წლის და ნათლიღების წინა დღეებში და თვით დღესასწაულებზე ხალხის მატარებლებს მომატებულ ვაგონებით და ორის ორთქლმავალათი უნდა იარონ.

რადგან რკინის გზის უმთავრესს სახელოსნოებში მუშაობა 21 დეკემბრიდგან მოისპობა და მუშები სადღესასწაულოდ განთავისუფლებულნი იქნებიან, ამათ გადასაყვან-გადმოსაყვანად მოემატება მეოთხე კლასის ვაგონები.

—

სად. რიონი. მატარებელი № 35 სადგურიდან რომ დაიძრა, სადგურის მოედანზევე გადაბმული ვაგონები გაწყდა, ხიფათი არა მომხდარა რა.

—

სად. პუტა. ერთს გაჭარს ფირუმოვს მატარებლით მიჰყავდა ღორები: ფუტის სადგურზე ვაგონიდგან რომ გამორეკა 62 ღორი, ს—მა წაართო ორი ღორი 18 მან. ღირებული; მაზგზად განუცხადა, რომ ბევრი იყო ვაგონში ღორებიო. ფირუმოვმა ეს ჟანდარმს განუცხადა, რომელმაც თავისს უფროსს აცნობა და გამოძიებას შეუდგა.

—

სად. ბორგუშეთი. 16 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, 586 ვერსზე დაეცნენ ექვსი შეიარაღებული ავაზაკები ბუტკის ყარაულს სერუშევს და ყარაულ ქალს ილიზოვას და წაართვეს ახლად მიღებული ჯამაგირი, რომელიც სადგურზე მიეღოთ და თავ-თავიანთ ბუტკებში მიდიოდნენ. სერუშევს წაართვეს 20 მან. და 44 კ., ილიზოვამ კი დრო იხელთა და გვერდზე დაღმართში გადააგდო თავის ფული, რომელიც მერე იპოვა ჟანდარმმა სრულად, 19 მ. და ერთი აბაზი.

—

ქიათურის გზაზე, 25 ვერსზე, 19 დეკემბერს საღამოს შვიდ საათზე ჩამოწყდა მიწა, ამ დროს მოდიოდა სატვირთოს მატარებელი და მიწა ზედ დააწვა, რის გამო ეს მატარებელი სადგურზე მივიდა 20 დეკემბერს დილას. მატარებელი № 11 ზოსლდვის სადგურზე იდგა მას მოსვლამდე.

## სასამართლოს მატიანე.

მილილოვისა და დავრიშევის საქმე.

მეტად საყურადღებო საქმე გაირჩა გუშინწინ საოლქო სასამართლოში. დამნაშავის სკამზე სხედან ერთი სრულებით მოხუცი 62 წლის კაცი დავრიშევი, ძრიელ გაჭალარებული და მეორე 28 წლის კარგად ჩასხმული და ჩასუქებული ტფილისელი მოვაჭრე და არშაკუნისეული სახლის პატრონი სერგეი მილილოვი. პირველს ბრალსა სდებენ იმაში, რომ გაბათილებული თამასუქი გრიგორი მირზოევისა სხვისთვის გადაუცია და მეორეს, მილილოვს, ამტყუნებენ მასში, რო ხსენებული თამასუქი წარუდგენია სასამართლოში მირზოშვილის მემკვიდრეთა გადასახდევინებლად. აი საქმის გარემოებაც.

ოთხმოციან წლებში გრ. მირზოევს მიუცია თამასუქი ა. მანთაშევისათვის 40 ათასი მანათისა, რომელიც მერე გადასულა ე. ფრიდონოვზე; ამ უკანასკნელს ეს თამასუქი წარუდგენია საკომერციო ბანკში, საიდამაც ფული აუღია. ბოლოს ეს თამასუქი, ცოტა ხნის შემდეგ, ისევ ფრიდონოვს გამოუსყიდნია და გადაუცია მირზოევის მოურავის დავრიშევისათვის, ხოლო მირზოევს ფრიდონოვისათვის სამაგიეროდ მიუცია რამდენიმე თამასუქი 40 ათასი მანათისა. 1892 წელს ხსენებული თამასუქი აწ განსვენებულს პარუნბეგოვს სასამართლოში წარუდგენია, ხოლო როგორც საქმიდანა სჩანს, მილილოვს ხსენებული თამასუქი ვაჭარ ფრიდმანისათვის უძლევია 7 ათას მანათად, ანუ მირზოევს გადაახდევინე და მერე სანახევროდ გავიყოთ ფულიო. ამ გარემოებამ მირზოევი აიძულა საჩივარი დაეწყო სისხლის სამართლით, მაგრამ რადგან პირუნბეგოვი გარდაცვლილა, მაშინვე ხელი მოჰკიდეს მირზოევის მოურავს დავრიშევს, რომელმაც სთქვა, რომ თამასუქი გადავეცი მირზოევსაო; ხოლო მილილოვმა სთქვა: მე თამასუქი განსვენებულ შაბურიშვილისაგან შევიძინეო, რომელსაც ჩემი ფული ემართაო, მაგრამ მოწმების ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ შაბურიშვილს არავითარი თამასუქი არ გადაეცა მილილოვისათვის.

ბრალმდებელი ითხოვდა ორივე დამნაშავის დასჯას, ხოლო დამნაშავის ვექილები ითხოვდენ მათ რწმუნებულთა განმართლებას. სასამართლომ ღამის პირველ საათზე გამოიტანა შემდეგი განაჩენი: მილი-

ლოვი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ყოველ ღირსების ახდა და პატიმართა როტაში გაგზავნა ერთის წლით და 4 თვით, დავრიშევი კი გამართლებულ იქმნა.

## თეატრის მატიანე

არტისტ ვასილევსკის 25 წლის იუბილეი.

**კიევი.** 10 დეკემბერს ბ. სოლოვცოვის ადგილობრივს დრამატიულს თეატრში დიდის ამბვით გადაიხადეს 25 წლის არტისტიულ მოღვაწეობის იუბილეი ცნობილ არტისტის ი. პ. კისელევსკისა. მხცოვანმა იუბილიარმა თავისს სადღესასწაულო წარმოდგენისათვის აირჩია თითო-თითო აქტები იმ პიესებიდგან, რომლებშიაც მან გაითქვა სახელი მთელს რუსეთში თავის ნიჭიერის თამაშით. მთელი გალლერეია საუცხოვოდ დახასიათებულ ტიპებისა გაგვიტარა ნიჭიერმა არტისტმა იუბილიარმა თვალწინ: კრეჩინსკი, ნესჩასტლივცევი, აპოლიევი და სხვა („Свадьба Кречинск.", „Лѣсъ", „Старый баринъ").

პატივცემულს იუბილიარს დიდის ალტაცებით მიეგება საზოგადოება. წაკითხულ იქმნა მრავალი ადრესები და მილოცვის დეპეშები მაყურებელ პირთა და საზოგადოებათაგან. ადრესები იყო გამოგზავნილი ქ. კურსკის საზოგადოებისაგან, სადაც იუბილიარი პირველად გამოვიდა არტისტიულ ასპარეზზედ; პეტერბურგიდან, სადაც მან ამ ასპარეზის უმაღლესს წერტილამდის მიაღწია; მოსკოვიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან და სხვ. სხვათა შორის ტფილისის საზოგადოების გრძნობიერი ადრესი თვით ბ. სოლოვცოვმა წაუკითხა ღრმად აღელვებულს იუბილიარს. ადრესები იყო აგრეთვე ადგილობრივ და ოდესის სტუდენტობისაგან. იუბილიარს მიართვეს მრავალი დაფნის და ვერცხლის გვირგვინი. იყო აგრეთვე ფასიანი საჩუქრებიც. ტაშის ცემას და ვაშას ძახილს ხომ საზღვარი არა ჰქონდა!.. თეატრის დარბაზი, რა თქმა უნდა, სავსებით სავსე იყო, თუმცა-ღა, შევნიშნავთ აქვე, ეს იშვიათი მოვლენაა სოლოვცოვის თეატრში, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ სოლოვცოვის დრამატიული დასი ერთ საუკეთესო პროვინციალურ დასთაგანია; ამას ზედ დაუმატეთ ის, რომ წელს აქ ოპერა არ არის, რადგან აქაური ქალაქის საოპერო თეატრი დაიწვა, სხვა თეატრი არ არის და, წარმოიდგინეთ, ცირკიც-კი არ არის, რომ, ვთქვათ, კონკურენცია გაუწიოს საზოგადოების მიზიდვაში და მაშინ გაგიკვირდებათ ის გულგრილობა, რომლითაც საზოგადოება აქ ეპყრობა თავისს ერთად-ერთს რუსულ დრამატიულ თეატრს... კიევში-კი, ნუ დაივიწყებთ, ორას ათასამდისაა მცხოვრებთა რიცხვი...

დასასრულ, უადგილო არ იქნება, ვგონებთ, ი. პ. კისელევსკის ბიოგრაფიული ცნობა მოვიყვანოთ აქ მოკლედ. კისელევსკი კიევის გუბერნიის აზნაურთაგან წარმოსდგება, დაიბადა 7 იანვარს 1839 წ., სწავლა მიიღო საზღვაო კადეტის კორპუსში. გლეხთა განთავისუფლების დროს მომრიგებელ შუამავლად იყო პეტერგოფის მაზრაში. 1868 წ.ვიდრე 1871 წლამდე ჩვენ მას უფროს ნოტარიუსად ვხედავთ ქ. კურსკის ოლქის სასამართლოში. კურსკშივე დაიწყო, როგორც ზემოდ იყო მოხსენებული, მისი პირველი მოღვაწეობა სცენაზედ 1869—70 წლ., მაგრამ ჯერ როგორც სცენის მოყვარისა. 1871 წ. კი მან სამსახურს თავი დაანება და აქედგან იწყება მისი ნამდვილი არტისტიული მოღვაწეობა ქ. კურსკში, შემდეგ მარიუპოლში. 1873—76 წ. ოდესაში ჰთამაშობდა პირველი რეზონიორის ამპლუაში. 1876—77 წ. ყაზანში დაჰყო. საიმპერატორო სცენაზე გამოვიდა 1878 წ. და იქ დაჰყო 1884 წლ. 1884 წელს მოსკოვს კორშის თეატრში გადვიდა; 1893 წ. ერთი წლით კიდევ მიუბრუნდა საიმპერატორო სცენას და 1893—94 წ. სეზონში ნოვოჩერკასში მსახურობდა, სინელნიკოვის ამხანაგობაში და 1894-დგან კი განუწყვეტლივ დღემდის სოლოვცოვის დასშია აქ.

ჩხ—ლი.


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ამა 28 დეკემბერს, 12 საათზედ დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** შემდეგის იჯარისათვის: იჯარადარმა უნდა მოჰგვაროს ქალაქის ქუჩების მოსარწყავ რაზმს ცხენები მთელის 1897 წლის განმავლობაში.

პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

(3—1)

გამოვიდა ახალი წიგნი

**მთიულეთი 1804 წ.**

ა. ფრონელისა.

**ფასი 70 კ.**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. წმინდა შემოსავალი გადადებულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. (15—5)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА **1897** ГОДЪ

*(третій годъ изданія)*

на ежедневную политическо-общественно-литературную газету

## „ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ"

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ"—органъ Черноморья и Закавказья—**первая и единственная на всемъ восточномъ побережьѣ Чернаго моря русския газета**—выходитъ въ Батумѣ, ежедневно, за исключеніемъ послѣпраздничныхъ дней, по полной программѣ столичныхъ политическо-литературныхъ ежедневныхъ изданій, утвержденной г. министромъ внутреннихъ дѣлъ.

„ЧЕРНОМОРСКІЙ ВѢСТНИКЪ", вступая въ 3-й годъ изданія, останется вѣрнымъ своей задачѣ и, выясняя нужды и положеніе побережья и Закавказья, будетъ, какъ и раньше, служить точнымъ и правдивымъ отраженіемъ мѣстной жизни во всѣхъ ея разнообразныхъ проявленіяхъ.

Въ теченіе 1897 года будетъ напечатанъ рядъ статей изъ гражданскаго уложенія турецкаго законодательства, касающихся владѣнія недвижимою собственностью по турецкимъ законамъ, съ цѣлью ознакомленія читателей съ земельнымъ вопросомъ, столь существеннымъ для Батумскаго округа. Кромѣ того будутъ напечатаны слѣдующія статьи постоянныхъ сотрудниковъ „Черном. Вѣстн.": „Сельское хозяйство на восточномъ побережьѣ Чернаго моря„, „Русскій чай и чайныя плантаціи на Чаквѣ близь Батума", „Кавказскія ископаемыя богатства", „Борьба съ разбоями на Кавказѣ", „Флора Кутаисской губерніи", „Марганцевая промышленность", „Нефть и ея новыя залежи", „Золото въ долинѣ Чороха", Батумъ, Сухумъ и Поти", „Школьное дѣло на Кавказѣ", „Кавказскіе лѣса", „Задачи правительства въ Черноморской губерніи", „Русскій человѣкъ на Кавказѣ", „Культурность и кинжалъ", „Климатическія станціи на побережьѣ", „Наши пути сообщенія". „Кавказскіе самоуправцы", „Русскій языкъ въ инородческихъ школахъ", и др.

**Подписка принимается на срокъ съ 1 числа любого мѣсяца и не далѣе какъ до конца года.**

Подписная цѣна: **на годъ**—для городскихъ подписчиковъ, съ доставкой, **6** руб.,—для иногородныхъ, съ пересылкой. **7** руб.,—за границу **13** руб.; **на полгода**—для городскихъ **4** руб., для иногородныхъ **5** руб., за границу **9** руб.; **на одинъ мѣсяцъ**—для городскихъ **1** руб., для иногородныхъ **1** руб. **20** коп. Разсрочка платежа по соглашенію съ конторой изданія.

ТАРИФЪ ОБЪЯВЛЕНІЙ: на 4-й страницѣ, за мѣсто, занимаемое строкою петита, съ мѣстныхъ объявленій—8 коп., съ иногородныхъ—10 коп.; на 1-й страницѣ—вдвое При многократныхъ объявленіяхъ—скидка.

Объявленія изъ-за границы и Россійской Имперіи, за исключеніемъ Кавказа, Закавказья и Закаспійской области, принимаются исключительно въ Центральной конторѣ объявленій торговаго дома Л. и Э. МЕТЦЛЬ и К-о, въ Москвѣ (Мясницкая домъ Сытова) и въ Петербургѣ (Болшая Морская, 11).

Подписка принимается: въ Батумѣ—въ конторѣ „Черноморскаго Вѣстника" (Оглобжинская, д. Таирова), въ Петербургѣ и Москвѣ—въ конторахъ Л. и Э. Матцль и К-о, въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хиддекеля.

Розничная продажа №№: въ **Батумѣ**—въ конторѣ газеты, на вокзалѣ Закавк. жел. дор., у газетчиковъ на пристаняхъ и на бульварѣ, и пр., **въ Сухумѣ, Поти, Новороссійскѣ**—у газетчиковъ пароход. Русс. Общества. **въ Кутаисѣ**—у г. Куденка, **въ Тифлисѣ**—у г. Хиддекеля. Кромѣ того, на всѣхъ почтово-пассажирскихъ пароходахъ Русскаго Общества пароход. и торг., на пароходахъ Азовскаго Общества и у газетчика пар. Россійскаго Общ., „Марія" (по всѣмъ Крымско-Кавказскимъ портамъ. Цѣна отдѣльнаго нумера **5** коп.).

При газетѣ—батумское отдѣленіе Россійскаго телеграфнаго агентства, съ пріемомъ отдѣльной городской подписки на биржевыя телеграммы (15 рублей въ годъ), выпускаемыя особыми бюллетенями два раза въ недѣлю.

Редакторъ-Издатель Г. А. ПАЛЬМЪ. (6—5).

**მომავალს 1897 წელს**

## „მეურნე"

(წელიწადი მეათე)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

მომავალს წელს რედაქცია წინანდელებრ ერთგულად ეცდება რა გამოარკვიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს ეკონომიურსა და საჰიგიენო ნაწილს ჟურნალისას. თანამშრომლების მომატება მწერლობაში ცნობილ პირთაგან სრულ იმედს გვაძლევს, რომ 1897 წელს გაუმჯობესებულად შევსძლებთ მარჯვეთ ვემსახუროთ გონიერს საგნებზე და არსებითს საქმეებზე კითხვას მოწყურებულს ქართველს საზოგადოებას.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის" რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის" რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ.

რედაქციას მომავალ წლისათვის მზადა აქვს შემდეგი წერილები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა; 2) მადნები ქუთაისის არე-მარეში, ბ-ნის დავიდოვისა; 4) კოოპერატიული საზოგადოებანი, ი. ზუმბასი და სხვ.

**ხელმოსაწერი ფასი—წლით ოთხი მანათი, ნახევარის წლით ორი მანათი და ათი შაური.**

ვინც ჟურნალზე საგაისოდ წრეულს მოაწერს ხელს და ხვედრს ფულსაც გადიხდის, მას ფულის შემოტანის დღიდგან გამოსული წლევანდელი ნომრები გაეგზავნებათ **უსასყიდლოდ**.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція **„МЕУРНЭ"**

(5—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიდ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია